საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/29

ქ. ბათუმი 04 -მარტი, 2019 წ.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01-11/98 ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანების და** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 4 მარტის N265175 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდეგში ,,სსსმ") ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის მოწვეული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ფუნქციათა აღწერილობა **დანართი 1-ის** შესაბამისად.
2. ინკლუზიურ განათლების სპეციალისტის საქმიანობის შიდა მონიტორინგი უზრუნველყოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ

(საშემოდგომო სწავლების/საგაზაფხულო სწავლების პერიოდში). საჭიროების შემთვევაში შეიქმნას ჯგუფი და განესაზღვროს უფლებამოსილებები. ჯგუფის შექმნის შემთხვევაში შედგეს ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებული შიდა მონიტორინგის დასკვნა და არაუგვიანეს 5 დღისა წარედგინოს ცენტრს.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე („ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის
4 მარტის N01-02/29 ბრძანების

დანართი 1

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდეგში „სსსმ“) ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის მოწვეული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის **(სპეციალური მასწავლებლის) ფუნქციები**

1. **სპეციალური მასწავლებლის ფუნქციებია:**

ა) მონაწილეობს ცენტრის შეხვედრებში, სადაც კონსულტაციას უწევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდეგში „**სსსმ**“) პირებს და მათ ოჯახებს, პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ე.წ. პროფორიენტაცია);

ბ) ჩართულია სსსმ აპლიკანტთა ტესტირების პროცესში, პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისათვის;

გ) წინასწარ განსაზღვრული განრიგით, საჭიროების შემთხვევაში, **სსსმ პროფესიულ სტუდენთან** (შემდეგში „სტუდენტი“) მუშაობს ინდივიდუალურად და ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს;

დ) აღწერს სტუდენტის აკადემიურ, კოგნიტურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ფსიქოემოციურ, ქცევით, ფუნქციურ და მოტორულ უნარებს და შეიმუშავებს მის სწავლასთან გამოხატული სიძნელის პირველადი მართვის რეკომენდაციებს სტუდენტის მასწავლებლისა და ცენტრისათვის;

ე) საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლობს მასწავლებლებთან შესაბამის მოდულში/მოდულებში სტუდენტის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შეფასების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით;

ვ) მონაწილეობს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფის (შემდგომში – ისგ ჯგუფი) საქმიანობაში;

ზ) მონაწილეობს ცენტის მიერ სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაში;

თ) თანამშრომლობს მასწავლებელთან/მასწავლებლებთან სსსმ სტუდენტის სწავლებასა და მათი ქცევის მართვაში კონსულტაციის გაწევისა და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით;

ი) ასწავლის კომუნიკაციის სირთულის მქონე სსსმ სტუდენტს კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული საშუალებების გამოყენებასა და სოციალურ ურთიერთობებს;

კ) ეხმარება მასწავლებელს/მასწავლებლებს, სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს, გამოიყენონ კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული საშუალებები კომუნიკაციის სირთულის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან ურთიერთობისას;

ლ) საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ განსაზღვრული განრიგით, ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევაში;

მ) თანამშრომლობს სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან, აცნობს მათ უფლებებს ინკლუზიური განათლების სფეროში, აწვდის ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სტუდენტის სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების გათვალისწინებით მიმართავს სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს შესაბამისი რეკომენდაციებით;

ნ) თანამშრომლობს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან და საჭიროების შემთხვევაში კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან;

ო) ახორციელებს დაკვირვებას მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე; დაკვირვების შედეგად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამოვლენის შემთხვევაში, მიმართავს ცენტრის დირექტორს რეაგირებისთვის;

პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ჟ) უფლებამოსილებების განხორციელებისას სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შესაბამისად, იყენებს შემდეგ მეთოდებს: ინტერვიუს ჩატარება სტუდენტთან, მის კანონიერ წარმომადგენელთან, მასწავლებლებთან, თანაჯგუფელებთან და ცენტრის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან; სტუდენტის ქცევაზე დაკვირვება სასწავლო პროცესში/ შესვენებაზე/თანაჯგუფელებთან ურთიერთობისას; სტუდენტის ტესტირება; სტუდენტის მიერ შესაბამის მოდულში/მოდულებში მიღებული შეფასებების გაცნობა; კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული სტუდენტის შეფასების შედეგების გაცნობა ცენტრისათვის.